



საქართველოს პარლამენტი

საქართველოს პარლამენტის წევრი



2691/3-2/22 2 24032022

2691/3-2/22

24-03-2022

საქართველოს თავდაცვის მინისტრს

ბატონ ჯუანშერ ბურჭულაძეს

ბატონო ჯუანშერ,

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148- ე მუხლით მონიჭებული უფლების ფარგლებში, გთხოვთ მომაწოდოთ ინფორმაცია თქვენი კომპეტენციის ფარგლებში თუ რა ზომები იქნა მიღებული უწყების მხრიდან რუსული დეზინფორმაციასა და პროპაგანდის საწინააღმდეგოდ, კერძოდ სტრატეგიული კომუნიკაციის წარმოების კუთხით?

ამასთან, გთხოვთ გამიზიაროთ 2021 წლის ანგარიში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს „საკომუნიკაციო სტრატეგიის“ შესრულების შესახებ.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
თეონა აქუბარდია



საქართველოს თავდაცვის მინისტრი



MOD 5 22 00451106

19.04.2022

საქართველოს პარლამენტის წევრს
ქალბატონ თეონა აქუბარდიას

ქალბატონო თეონა,

თქვენი 2022 წლის 24 მარტის №2691/3-2/22 (რეგისტრაციის №337872) წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ დეზინფორმაციისა და პროპაგანდის წინააღმდეგ საბრძოლველად სწორი პოლიტიკისა და მიდგომების განსაზღვრის მიზნით, თავდაცვის სამინისტრომ 2021 წელს განაახლა „თავდაცვის სამინისტროს საკომუნიკაციო სტრატეგია 2021-2024“, რომელიც ხელმისაწვდომია თავდაცვის სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე. აღნიშნული სტრატეგია უპირატესობას ანიჭებს პროაქტიულ კომუნიკაციას და საკომუნიკაციო მიზნად განსაზღვრავს საზოგადოებისთვის მუდმივ რეჟიმში ობიექტური ინფორმაციის მიზანმიმართულად და პროაქტიულად მიწოდებას, შესაძლო დეზინფორმაციების ეფექტური გავრცელების არეალის და დეზინფორმაციის მავნე ზემოქმედების შემცირების მიზნით. შესაბამისად, თავდაცვის სამინისტროს ძალისხმევა ძირითადად მიმართულია დეზინფორმაციის შესწავლაზე, სხვადასხვა სამიზნე აუდიტორიის ცნობიერების ამაღლების ღონისძიებებსა და მოსახლეობასთან მიმდინარე პროცესებისა და პროექტების შესახებ კომუნიკაციაზე. ამასთან, თავდაცვის სამინისტრო, საკომუნიკაციო სტრატეგიის შესაბამისად, ყოველწლიურად ანახლებს სამოქმედო გეგმებს, სადაც გათვალისწინებულია რუსული პროპაგანდის წინააღმდეგ შესაბამისი ღონისძიებები.

საკომუნიკაციო სტრატეგიის ფარგლებში, თავდაცვის სამინისტრო ახორციელებს პროპაგანდის საწინააღმდეგო სხვადასხვა ღონისძიებას, მათ შორის:

- ტელევიზიითა და სხვადასხვა საინფორმაციო არხით პროაქტიულად მიმდინარეობს თავდაცვის სამინისტროში მიმდინარე პროექტების, რეფორმებისა და მოდერნიზაციის პროცესის, მნიშვნელოვანი შეხვედრების, ადგილობრივი თუ საერთაშორისო სწავლებების და ნატო-სთან ინტეგრაციის მიმართულებით გადადგმული ნაბიჯების გაშუქება. სამინისტროს პოზიტიური დღის წესრიგის საზოგადოებისთვის პროაქტიული მიწოდება მნიშვნელოვნად ამცირებს დეზინფორმაციული ნარატივების უარყოფით შედეგს.
- მიმდინარეობს საინფორმაციო გარემოს ანალიზი, მტრული ნარატივის იდენტიფიკაცია, სამიზნე ჯგუფების ანალიზი და მათზე საპასუხო რეაგირების პოლიტიკის შემუშავება. 2020 წლიდან, თავდაცვის სამინისტროს ინიციატივითა და



მთავრობის ადმინისტრაციის ხელმძღვანელობით, აქტიურად მიმდინარეობს საქართველოს მედია მონიტორინგის პროგრამის შექმნა და ინტეგრირება, რაც საინფორმაციო გარემოს მონიტორინგის თვალსაზრისით არსებულ შესაძლებლობებს კიდევ უფრო გააძლიერებს. აღნიშნული პროექტი ევროკავშირის დაფინანსებით ხორციელდება. 2021 წელს დასრულდა პროგრამის იმპლემენტაციის ფაზა, 2022 წლიდან კი, მიმდინარეობს ევროკავშირთან პროექტის დაფინანსებასა და სამომავლო გეგმებზე მუშაობა.

- 2018 წლიდან თავდაცვის ძალების გენერალურ შტაბში, სარდლობებსა და ეროვნულ გვარდიაში შეიქმნა საზოგადოებრივ საქმეთა ოფიცრების ინსტიტუტი, რომელიც ხელს უწყობს თავდაცვის ძალებსა და საზოგადოებაში სამინისტროს საქმიანობის, ნატო-სთან ურთიერთობის, რეფორმებისა და უწყების ნარატივის შესახებ სწორი ინფორმაციის პროაქტიულ მიწოდებას, რაც რუსულ პროპაგანდისტულ მიზნებს ანეიტრალებს. ამ გზაზე, 2021 წლის მეოთხე კვარტალში, თავდაცვის ძალებში - ბრიგადებსა და სარდლობებში - საზოგადოებრივ საქმეთა ოფიცრის დამატებით 8 პოზიცია შეიქმნა. ჯამში, ამ მიმართულებით თავდაცვის ძალებში შექმნილია 15 პოზიცია. ასევე, თავდაცვის სამინისტრო აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო პარტნიორებთან შესაბამისი სასწავლო კურსის კურიკულუმის შექმნისა და ტრენერების გადამზადების მიმართულებით, რის შედეგადაც სამინისტროს ექნება თვითკმარი რესურსი საჭიროებისამებრ საზოგადოებრივ საქმეთა ოფიცრების გადამზადებისთვის.
- თავდაცვის სამინისტრო განსაკუთრებულ ყურადღებას სტრატეგიული კომუნიკაციების გაძლიერებას უთმობს. ამ თვალსაზრისით, აღსანიშნავია ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის (SNGP) ფარგლებში ბრიტანეთის (ძირითადად), ისევე როგორც ნატოს სხვა წევრი და პარტნიორი ქვეყნების ჩართულობა ორმხრივ და მრავალმხრივ დონეზე, გამოცდილებისა და ცოდნის გაზიარების კუთხით. ამასთან, ხაზგასასმელია სტრატეგიული კომუნიკაციების ინიციატივის განვითარებაში უწყებათაშორისი ფორმატის აქტიური გამოყენება. აღნიშნული 2021 წელსაც შესაბამისად ხორციელდებოდა.
- სამინისტრო აქტიურად თანამშრომლობს ქ. რიგაში (ლატვიის რესპუბლიკა) არსებულ ნატო-ს სტრატეგიული კომუნიკაციების სრულყოფის ცენტრთან, 2016 წელს გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე. აღნიშნული მემორანდუმის ფარგლებში, 2017 და 2018 წლებში, სსიპ-თავდაცვის სამინისტროს ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლაში პირველად ჩატარდა კურსი სტრატეგიული კომუნიკაციების შესახებ. 2020 წელს კი, აღნიშნულ კურსს ნატო-ს აკრედიტაცია მიენიჭა და უკვე 2020 წლის დეკემბერში ჩატარდა ნატო-ს საწყისი სტრატეგიული კომუნიკაციების კურსი, რომელსაც მთლიანად ქართველი ექსპერტები უძღვებოდნენ. აღსანიშნავია, რომ ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც ნატო-ს არაწევრმა ქვეყანამ სტრატეგიული კომუნიკაციების კურსზე მიიღო ნატო-ს აკრედიტაცია.
- მიმდინარე რეფორმებზე, თანამედროვე საფრთხეებსა და მტრულ ნარატივზე, სამინისტროს მიზნებისთვის ხელშემწყობი საზოგადოებრივი აზრის ფორმირების მიზნით, თავდაცვის სამინისტრო გამოსცემს ორენოვან (ქართული, ინგლისური) პერიოდულ ჟურნალს - „ქართული ჯარი“. 2021 წელს გამოიცა ჟურნალის 3 ნომერი. იუსტიციის სამინისტროსთან აქტიური უწყებათაშორისი თანამშრომლობით, მოცემული ჟურნალი, თავდაცვის ძალების გარდა, ასევე ვრცელდება რეგიონის მოსახლეობაში.
- სამინისტრო ყოველწლიურად ატარებს მედია სწავლებას - “ღირსეული პასუხი”, რომელიც მეორე ქვეითი ბრიგადის ბაზაზე ტარდება (შენიშვნა: 2020 წელს

დაგეგმილი სწავლება ობიექტური მიზეზების გამო გადაიდო). აღნიშნული სწავლების მიზანია მოქმედი და მომავალი ჟურნალისტების მომზადება მშვიდობიან, კრიზისულ და საომარ სიტუაციებში დეზინფორმაციისა და პროპაგანდის იდენტიფიცირებისა და განეიტრალების უნარებში. ასევე, სწავლება ეხმარება ჟურნალისტებს, განავითარონ საომარ მდგომარეობაში პროფესიული საქმიანობის წარმართვისა და უსაფრთხოების წესებისა და პრინციპების შესახებ ცოდნა. მოცემული სწავლება შედგება როგორც თეორიულ-სიმულაციური, ასევე საველე კომპონენტისგან. აღსანიშნავია, რომ სწავლებაში 2021 წელს დამკვირვებლებად მონაწილეობდნენ ექსპერტები დიდი ბრიტანეთიდან. მათ შეაფასეს სწავლების მსვლელობა და სალექციო ნაწილში გააკეთეს მოხსენება დიდი ბრიტანეთის გამოცდილებაზე დეზინფორმაციასთან ბრძოლის მიმართულებით. სწავლებამ, ამ მხრივ, უკიდურესად პოზიტიური შეფასებები მიიღო.

- თავდაცვის სამინისტროს სტრატეგიის ხაზი, სხვა მრავალთან ერთად, ასევე გადის ჰიბრიდულ საფრთხეებსა და გამოწვევებზე შესაბამისი პოლიტიკის შემუშავებაზე. თქვენი წერილის სულისკვეთებიდან გამომდინარე, ამ კონკრეტულ შემთხვევაში აღსანიშნავია ეროვნულ სწავლებებში, როგორიცაა „დიდგორი“ და „ინფო“ (შენიშვნა: „ინფო“ 2020-2021 პანდემიის გამო ვერ ჩატარდა) საინფორმაციო ოპერაციებზე კონცენტრირება. სამინისტროს სტრატეგიული კომუნიკაციებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი აქტიურად არის ჩართული სცენარების შემუშავებისა და წარმართვის პროცესში. აღსანიშნავია, რომ „დიდგორი 2021“-ში წარმოდგენილ უწყებათაშორის სტრატეგიული კომუნიკაციების ჯგუფს დამკვირვებლის სახით ეწვია დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელი.
- პარალელურად, აქტიურად მიმდინარეობს ორმხრივი ურთიერთობების განვითარება ნატო-ს წევრ და პარტნიორ ქვეყნებთან, მათ შორის, ლიტვასთან და უკრაინასთან, რომელთა გამოცდილება რუსული პროპაგანდის წინააღმდეგ მნიშვნელოვანია საქართველოში არსებული რეალობისთვის, თუმცა, გლობალური პანდემიის გამო, 2021 წელს ორმხრივი ურთიერთობები შეფერხებით მიმდინარეობდა.
- საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად, პროექტს „ჩვენი ჯარი“ 2018 წლიდან ახორციელებს. პროექტის მიზანია ახალგაზრდებში სამხედრო-პატრიოტული სულისკვეთების ამაღლება. პროექტის ფარგლებში, საქართველოს თავდაცვის ძალების სამხედრო მოსამსახურეები, საქართველოს საჯარო სკოლების დამამთავრებელი კლასების მოსწავლეებს, წარუდგენენ ლექცია-პრეზენტაციებს საქართველოს სამხედრო ისტორიის, საქართველოს თავდაცვის ძალების, სამხედრო სამსახურის და თანამედროვე გამოწვევების, მათ შორის, საქართველოს ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის წინააღმდეგ არსებული და ანტი-დასავლური პროპაგანდის შესახებ. პროექტის ოთხი ეტაპის ფარგლებში ლექცია-პრეზენტაციები ჩატარდა საქართველოს 1300-მდე საჯარო სკოლის ათობით ათასამდე მოსწავლეს. 2020 წელს, სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლასთან თანამშრომლობით, შეიქმნა ტრენერთა ტრენინგის მოდული - „ჩვენი ჯარი“, რომლის ფარგლებში მომზადდება 20 ტრენერი ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებისთვის ლექცია-პრეზენტაციების ჩასატარებლად.
- თავდაცვის სამინისტრო ახორციელებს პროექტს - „ერთი დღე ჯარში“. პროექტის მიზანია ახალგაზრდებისათვის (სტუდენტები, სკოლის მოსწავლეები, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები) სამხედრო თემებზე ინფორმაციის მიწოდება და ქვეყნის უსაფრთხოების, ნატო-საქართველოს ურთიერთობების, საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობებისა და შეიარაღებული ძალების საერთაშორისო მისიებში მონაწილეობის შესახებ ცნობიერების ამაღლება. პროექტის ფარგლებში,

ახალგაზრდებს საშუალება ეძლევათ მოინახულონ სამხედრო ბაზები, ესტუმრონ სიმულაციური სწავლების ოთახებს, დაათვალიერონ სამხედრო ტექნიკა და შეიარაღება. ასევე, ნატო-ს დღეების ფარგლებში, აღნიშნული პროექტი ხორციელდება ნატო-სა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრთან ერთად.

- სტრატეგიული კომუნიკაციების სპეციალისტების, ასევე თავდაცვის ძალების გენერალური შტაბის შესაბამისი წარმომადგენლების მიერ აქტიურად მიმდინარეობს კომუნიკაცია თავდაცვის ძალების პირად შემადგენლობასთან, ყველა ბრიგადაში, პროპაგანდასა და საინფორმაციო ომის მეთოდებზე, რაც ხელს უწყობს მათი ინფორმირებულობის გაზრდას რუსულ პროპაგანდასა და ჰიბრიდულ საფრთხეებზე.

პატივისცემით,

მმართველობა
მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი
ლელა ჩიქოვანი

